



ეკონომიკა

ინფლაცია: 2024 წლის სექტემბერში წლიური ინფლაცია 0.6%-მდე შენედა, წინა თვეში დაფიქსირებული 1.0%-იანი ინფლაციის შემდეგ. ინფლაციის შენელება ძირითადად განაპირობა იმპორტირებული ინფლაციის 1.4%-მდე შენელებამ (+3.0% წ/წ წინა თვეში) და შერეული საქონლის ფასების წლიურმა 1.1%-იანმა კლებამ. ამასთან, სექტემბერში ადგილობრივი ინფლაცია, წინა თვესთან შედარებით, მცირედით გაიზარდა და წლიური 1.2% შეადგინა. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, რომელიც კალათიდან გამორიცხავს სურსათის, ენერჯიმენტარების და თამბაქოს ფასებს, სექტემბერში მცირედით 0.8%-მდე შემცირდა წინა თვეში არსებული 0.9%-იანი დონიდან.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2024 წლის სექტემბერში წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: ტრანსპორტი (+4.3% წ/წ, +0.52პპ), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (+4.9%, +0.34პპ), სასტუმროები და რესტორნები (+7.5%, +0.25პპ), კავშირგაბმულობა (-12.8% წ/წ, -0.48პპ) და კომუნალურები (-2.9% წ/წ, -0.23პპ).

ამასთან, თვიურ მასშტაბში სექტემბერში 0.3%-იანი ინფლაცია დაფიქსირდა, რომელიც ძირითადად განათლების (+4.4% თ/თ, +0.22პპ) და ტანსაცმელი და ფეხსაცმლის ჯგუფებში ფასების ზრდამ განაპირობა.

ტურიზმის შემოსავლები: ჩვენი შეფასებით, 2024 წლის სექტემბერში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წლიურად 7.4%-ით გაიზარდა და 450 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ჯამურად, 2024 წლის იანვარ-სექტემბერში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 3.6 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა ჩვენი შეფასებით, რაც წლიურად 11.3%-იანი ზრდაა. 2024 წელს ტურიზმის შესავლები ჩვენი პროგნოზით 4.4 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს (4.1 მლრდ აშშ დოლარი იყო 2023 წელს).


2025 წლის ბიუჯეტი: მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი, რომელიც 5.5%-იან ეკონომიკურ ზრდას და 3.0%-იან დეფლაციურს ითვალისწინებს. ამასთან, კონსოლიდირებული ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 2.5%-იან ნიშნულზეა დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შემოსავლები წლიურად 6.6%-ით იზრდება მშპ-ის 25.1%-მდე და პრივატიზაციიდან მოსალოდნელი შემოსავლები 350 მლნ ლარზეა დაგეგმილი 2024 წლის მსგავსად. ბიუჯეტის მთლიანი ხარჯები მშპ-ის 30.2%-ის დონეზეა დაგეგმილი, სადაც კაპიტალური ხარჯების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 7.4%-ს შეადგენს (2024 წლის მოსალოდნელი 8.3%-ია). ბიუჯეტის პროექტით მთავრობის ვალი 2025 წელს მშპ-ს 36.8%-ს გაუტოლდება, რომლის კომპოზიციაში შიდა ვალის წილი იზრდება მშპ-ს 11.9%-მდე (2024 წლის 11.1%-დან), ხოლო საგარეო ვალის მცირდება მშპ-ს 24.9%-მდე (2024 წლის 25.4%-დან).

ეკონომიკური ინდიკატორები

	2023	2024F
რეალური მშპ-ს ზრდა	7.5%	9.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	23,344	25,573
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	8,210	8,939
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია (საშუალო)	2.5%	1.8%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	5.0	4.8
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	5.6%	5.0%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.5%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.2%	36.5%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

წლიური ინფლაცია



წყარო: საქსტატი, სებ

ტურიზმის შემოსავლები, \$ მლრდ



წყარო: სებ, გალტ & თაგარტი




ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 1 ოქტომბერს 3.3-წლიანი 50 მლნ ლარის (18.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.7-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.1013პპ-ით შემცირდა და 8.351% შეადგინა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 1 ოქტომბერს 6-თვიანი 20 მლნ ლარის (7.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.5-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.0813პპ-ით შემცირდა და 7.790% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2024 წლის 8 ოქტომბერს, სადაც 1-წლიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 10-წლიანი 30 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი




წყარო: სებ, საქსტატი

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2024 წელი

ვალდებულება	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
1 წლამდე	430	100	360
1 წელზე მეტი	2,316	715	8,624
-სულ	2,746	815	8,984


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2024 წლის აგვისტოს მდგომარეობით

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი



წყარო: სებ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	94.67	6.44	260.59
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-21	Jun-28	BB-/BB-/-	90.66	6.91	337.51
GEBGG 9 1/2 PERP	USD	300	9.500%	Apr-24	n/a	B-/-/B2	98.18	9.99	648.36
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/-/B1	100.85	7.96	372.14
TBC 8.894 PERP	USD	75	8.894%	Nov-21	n/a	B-/-/-	96.06	10.84	716.62
TBC 10 1/4 PERP	USD	300	10.250%	Apr-24	n/a	-/-/B2	98.90	10.53	692.24
CGEOLN 07/29	USD	300	8.875%	Jul-24	Jul-29	BB-/BB-/-	102.42	8.25	457.81

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-17	Nov-27	-/-/-/-	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-21	Dec-24	-/-/-/B+	n/a	6.75%
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-22	Oct-24	-/-/-/-	99.97	8.50%
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-/-	100.00	7.00%
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-/B+	99.99	8.50%
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-/-	99.99	9.00%
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-/-	99.99	9.00%
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-23	Apr-25	-/-/-/BB-	99.77	8.75%
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-23	Jun-25	-/-/-/-	n/a	n/a
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/-/-	101.08	8.40%
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-/-	100.91	8.63%
Prime Concrete	USD	7.5	10.50%	Sep-23	Sep-27	-/-/-/-	n/a	n/a
Austrian-Georgian Development	USD	15	9.00%	Oct-23	Oct-25	-/-/-/-	n/a	n/a
MFO EuroCredit	USD	10	9.50%	Dec-23	Dec-27	-/-/-/-	n/a	n/a
Geosteel	USD	5	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-/-	99.63	8.75%
IG Development	USD	20	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-/-	99.61	8.75%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/-/BB-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	3.3	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/-/BB-	n/a	8.63%
IG Development	USD	19.5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-/-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	USD	5	8.75%	Jul-24	Jul-26	-/-/-/-	n/a	8.75%
JSC BasisBank	USD	20	7.00%	Aug-24	Aug-27	-/-/-/-	n/a	7.00%
Georgia Real Estate	USD	25	8.50%	Aug-24	Aug-26	-/-/-/-	n/a	8.50%
Chavchavadze 64B	USD	10	8.75%	Aug-24	Aug-26	-/-/-/-	n/a	8.75%

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი



ობლიგაციები

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
EUR								
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-23	Apr-25	-/-/BB-	99.77	7.00%
Tegeta Motors	EUR	4	7.00%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	99.63	7.00%
Tegeta Motors	EUR	7	6.75%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	100.37	6.75%
IG Development	EUR	5	7.00%	Jan-24	Jan-26	-/-/BB-	99.60	7.00%
Tegeta Motors	EUR	10	6.75%	May-24	May-26	-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	EUR	3	7.75%	Jul-24	Jul-26	-/-/BB-	n/a	7.75%
Silk Real Estate	EUR	7	7.00%	Aug-24	Aug-25	-/-/BB-	n/a	7.00%
Chavchavadze 64B	EUR	3	7.75%	Aug-24	Aug-26	-/-/BB-	n/a	7.75%
GEL								
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-21	Nov-24	-/-/BB-	n/a	n/a
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/BB-	100.00	11.58%
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-22	Dec-24	-/-/BB-	100.00	12.83%
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/BB-	n/a	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Dec-22	Feb-25	B-/BB-	100.00	13.22%
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/BB+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB-/BB-	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	14.5%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	100.00	12.33%
Tegeta Motors	GEL	10	13.50%	Jul-24	Jul-26	-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	15	13.50%	Aug-24	Aug-26	-/-/BB-	100.00	13.50%
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-21	Nov-24	-/-/BB-	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტ & თაგარტი

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: გალტ & თაგარტი



აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის

(BGEO LN) აქციები დაიხურა 37.80 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.13% წინა კვირასთან შედარებით და -14.48% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 281 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 35.50 - 38.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 55 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)

აქციები დაიხურა 25.30 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -6.47% წინა კვირასთან შედარებით და -11.23% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 286 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 24.70 - 27.05 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 58 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN)

აქციები დაიხურა 9.67 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +3.31% წინა კვირასთან შედარებით და -2.22% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 422 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 9.02 - 9.73 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 81 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, %	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2023	2024F	2025F	2023	2024F	2025F
Bank of Georgia	BGEO	GBP	37.80	1,723	-25.7%	7.5%	-4.9%	4.36x	3.43x	3.49x	1.19x	na	na
TBC	TBC	GBP	25.30	1,401	-20.1%	-12.5%	-10.6%	4.78x	4.09x	3.48x	1.15x	na	na
Halyk Bank	HSBK	USD	16.90	4,609	-5.7%	30.4%	11.5%	2.57x	2.64x	2.55x	0.72x	na	na
Akbank	AKBNK	TRY	54.35	282,620	3.7%	62.5%	48.8%	2.86x	4.20x	2.62x	0.90x	1.08x	0.77x
Garanti	GARAN	TRY	115.50	485,100	59.6%	123.4%	97.9%	2.84x	4.92x	3.19x	1.00x	1.49x	1.00x
Isbank	ISCTR	TRY	12.66	316,500	1.3%	27.8%	35.5%	3.23x	3.53x	2.18x	0.87x	0.96x	0.65x
PKO	PKO	PLN	54.08	67,600	-9.9%	56.4%	7.5%	11.44x	6.13x	6.06x	1.39x	1.34x	1.24x
PEKAO	PEO	PLN	142.10	37,297	-22.8%	40.7%	-6.5%	6.07x	5.75x	6.16x	1.32x	1.18x	1.11x
Millennium	MIL	PLN	8.14	9,874	-23.7%	39.3%	-2.6%	17.78x	3.60x	4.04x	1.47x	1.26x	1.10x
Mbank	MBK	PLN	583.80	24,791	-20.2%	47.5%	9.1%	na	5.68x	5.44x	1.65x	1.62x	1.27x
BRD	BRD	RON	20.10	14,008	-7.6%	31.4%	12.2%	7.62x	9.57x	9.78x	1.42x	1.46x	1.36x
Banca Transilvania	TLV	RON	27.35	21,843	12.1%	40.5%	29.4%	7.76x	6.58x	6.63x	1.82x	1.54x	1.59x
Komercni	KOMB	CZK	787.00	149,569	-8.0%	18.0%	8.6%	8.76x	9.56x	9.56x	1.09x	1.19x	1.19x
Mean								6.67x	5.36x	5.01x	1.23x	1.31x	1.13x
Median								5.43x	4.92x	4.04x	1.19x	1.30x	1.15x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საუბრის კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელშეწყობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერნაირად სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულა, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებლობის ან დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია შესაძლო მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლო მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევეს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევები: research@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4298)
საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)
საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)

გალტ & თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111